ნაშრომის მომზადების წესები

ნაშრომის ელექტრონული ვერსიები უნდა მომზადდეს შემდეგი წესების დაცვით:

- ნაშრომი და რეზიუმეები წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით. მინდორი: ზედა – 2,0 სმ, ქვედა – 2,0 სმ, მარცხენა – 2,0 სმ, მარჯვენა – 2,0 სმ;
- ნაშრომი უნდა მოიცავდეს 4 ან 6 გვერდს. არაუმეტეს 6გვერდისა.
- შრიფტი Sylfaen ან Times New Roman, სტილი Normal, შრიფტის ზომა – 12;
- სტრიქონთაშორისი ინტერვალი – 1,5
- ნახატები, გრაფიკები, სქემები და ა. შ. – წარმოდგენილ უნდა იქნას Microsoft office Powerpoint-ით
- სტატიების სათაურები, ავტორები, ავტორების მონაცემები დადგენილ ვადაში მიეწოდება საორგანიზაციო კომიტეტს.

სტატიის გაფორმების წესი:

- ზედა მარცხენა კუთხეში – ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი (მუქი **(Bold)** შრიფტი). დეფისის შემდეგ მიეთითება უნივერსიტეტი, ფაკულტეტი და სწავლების კურსი (ჩვეულებრივი შრიფტი);
- 1 ინტერვალის შემდეგ სტრიქონის შუა ნაწილში – ნაშრომის დასახელება მუქი შრიფტით;
- 1 ინტერვალის შემდეგ – ნაშრომის ტექსტი;
- ნაშრომს ერთვის რეზიუმე (არაუმეტეს 250 სიტყვისა) ***ინგლისურ ენაზე.*** ავტორის სახელი, გვარი და გამოყენებული ლიტერატურის სია.

მნიშვნელოვანი: <u>**წესების დარღვევით მოწოდებული სტატიები დასაბეჭდად არ განიხილება!**</u>